

საქართველოს კანონი

**"სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში
დამატების შეტანის თაობაზე"**

მუხლი 1. "სახელმწიფო პენსიის შესახებ" საქართველოს კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ნაწილი 1, №56, 28. 12. 2005, მუხლი 390) შეტანილ იქნას შემდეგი დამატება:

1. მე-6 მუხლს დაემატოს მე-8 პუნქტი შემდეგი რედაქციით:

"8. ამ მუხლის მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებით გათვალისწინებული შეზღუდვა არ ვრცელდება:

 - ა) სახელმწიფო პენსიის მიმღებ მარტოხელა, შრომისუუნარო მშობელზე, რომელსაც სახელმწიფო პენსიის მიღების უფლებასთან ერთად წარმოეშვა უფლება მიიღოს სახელმწიფო პენსია გათვალისწინებული ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით ან „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონით.
 - ბ) სახელმწიფო პენსიის მიმღებ იმ მშობლებზე, რომლის ოჯახიდან დაიღუპა ორი ან მეტი შვილი. ამ კანონის 22-ე მუხლის მე-2 პუნქტის "ე" ქვეპუნქტით მათ აქვთ უფლება მიიღონ სახელმწიფო პენსია თითოეული დაღუპული შვილის გამო".

მუხლი 2. ეს კანონი 2010 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი
სააკაშვილი

მიხეილ